საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტიის

წლიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნიშნული
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 550 კვირა, აგვისტოს 19 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

ღრმათ დამწუხრებულნი: ქალიშვილი ბარბალე დავით ბებუთაშვილის ასული გაბუნიასი და სიძე არტემ გიორგის ძე გაბუნია აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 19 აგვისტოს დილის 11 საათზე ძვირფას, საყვარელ და დაუვიწყარ

**დავით იოსების ძე ბებუთაშვილის**

გარდაცვალებიდან 40 დღის აღსანიშნავათ ხოდჟევანქის სასაფლაოს ბებუთაანთ ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

---

**საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის**

**შორაპნის სამაზრო კომიტ. დადგენილებით**

კვირას, აგვისტოს 26 ქ. შორაპანში მოწვეულია ს.-მემ. სოც.-ფედ. პარტიის

## შორაპნის სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო.
2. პარტიული მუშაობა.
3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა თავისი მოქმედების შესახებ.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის.

მცირერიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან კონფერენციაზედ თითო დელეგატს, მრავალრიცხოვანები კი ყოველ 25 წევრზედ თითო დელეგატს. ახალგაზრდათა და ქალთა კომიტეტებს შეუძლიათ გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი სათათბირო ხმით. დელეგატებს ირჩევს წევრთა საზოგადო კრება.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზედ შორაპნის მუშათა კლუბის დარბაზში.

**შორაპნის სამაზრკომი.**

---

**საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის**

**სენაკის დრ. სამაზრო კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. აგვისტოს 26-სათვის ქ. ახალ-სენაკში მოწვეულია პარტ-ორგანიზაციების

## სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობა.
2. პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. პარტიული მუშაობა.
4. დროებითი სამაზრკომის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

დელეგატები იგზავნება პარტორგანიზაციების მიერ, ყოველ 20 წევრზე ერთი. ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 20-ზე ნაკლები ნამდვილი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს უფლება აქვთ **სათათბირო** ხმით თითო წარმომადგენლის გამოგზავნისა.

კონფერენცია გაიხსნება საბჭოთა თეატრში, დღის 12 საათზე.

ს. მემარცხენე ს.-ფ. პ. სენაკის დრ. **სამაზრკომი.**

---

## ალმასკომის პრეზიდიუმი

**ატყობინებს კ მუნალურ განყოფილების, მისი ქვე-განყოფილებითურთ, სექციაში ჩაწერილ საბჭოს ყველა წევრებს გამოცხადდენ ალმასკომის დარბაზში 20 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულ საორგანიზაციო კრებაზე.**

**დასწრება სავალდებულოა**

**№ 391.—1 1.** **პრეზიდიუმი.**

---

## მგზავრთა კლუბში

**რუსთაველის პროს. № 39 (ეზოში)**

**კვირას 19 აგვისტოს**

მგზავრთა კავშირთან არსებულ დრამატიული წრის —ქართული სექციის სცენის მოყვარე მუშების მიერ საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნება

## ორი დარაჯი

**მელოდრამა 3 მოქ. თარგ. ფ. ქორიძისა.**

---

## განცხადება

**1 სექტემბრიდან ტფილისში გამოვა**

**ყოველკვირეული სამეცნიერო-სალიტერატურო-საინფორმაციო გაზეთი**

## „მწვერვალი“.

მიიღება ამ თავითვე ხელის მოწერა.

ეს გაზეთია გაგრძელება ბათომის „მწვერვალისა“ და ყველა მასალები, განცხადებანი და სხ; რომელიც გადაცემული ჰქონდა გაზეთ „მწვერვალს“ ბათომში,—მოთავსებულნი იქნებიან მორაგ № 9.—

**სარედაქციო კოლეგია.**

3—3.

---

**— გერმანიის რეიხსტაგმა 240 ხმით წინაალმდეგ 76-ისა ნდობა გამოუცხადა შტრეიზემანის კოალიციონურ კაბინეტს.**

**— საქსონიის მწარმოებლები ზოგიერთ ქალაქში დასთანხმდნენ დააწესონ ომამდე არსებული შრომის ხელფასი.**

**— დუბლინში ინგლისის ჯარმა დაატუსაღა ირლანდიის აჯანყებულთა მეთაური დე-ვალერა.**

**— საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ლოზანაში გამომუშავებულ შეთანხმებას სრუტეების შესახებ.**

**— მუსოლინი მომხრეა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლებისა.**

**— მოკავშირეებმა კოლექტიური ნოტით მიმართეს ჩინეთის მთავრობას, რათა მიიღოს სასწრაფო ზომები უცხოელების საკუთრების და სიცოცხლის უზრუნველსაყოფად, თორემ თითონ იზრუნებენ ამაზედ.**

**— აგვისტოს ათს სპარსეთში გაიმართა ანტიინგლისური დემონსტრაციები.**

**— აგვისტოს 11-ს ანგორაში გაიხსნა ოსმალეთის ახლად არჩეული დიდი ეროვნული კრება.**

**— ვენაში გაიხსნა მუშა ქალების საერთაშორისო კონგრესი.**

## გერმანიის მთავრობის დამხობა

კუნოს მთავრობა დაემხო!—ვინ არ მოელოდა რადიოდან ამ ცნობის მიღებას ამ უკანასკნელს დღეებში. კუნოს ადგილი დაიჭირა სტინესის მეორე საფეხურის ნოქარმა—შტრეზემანმა. მაგრამ ახალ კაბინეტს ყავარჯნად ისევ ებერტის კონსტიტუცია აქვს მიღებული, ხოლო მთელს გერმანიის „რაიხს“ ისევ და ისევ ებერტი გამოხატავს, რომელიც გაფიცვის ცხარე დღეებში თავის ბაღში სტუდენტებს და პროფესორებს საათობით ემასლაათება სასმელსაჭმელ საკითხების გარშემო თითქოს მისი ბრწყინვალე სავარძელი სანახევროდ არ ყოფილიყო მყრალ წყალში ჩაყუდებული.

ჩვენ არ შეგვიძლიან დავიჯეროთ, თითქოს გერმანიის ამბებს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო განწყობილების აუზი ასაზრდოებდა. კატეგორიულად გავრცელებული ხმა შავრაზმული გაზეთებისა თითქოს ინგლისელი ელჩი დ'ამერნონი ხელოვნურად ამწვავებდა გერმანიის შინაურ მდგომარეობას—მისაღებია მხოლოდ, როგორც უბრალო ბურჟუაზიული ჭორი.

გერმანული კრიზისი შედეგია იმ პოლიტიკოეკონომიური ქაოსის, რომელშიაც ვერსალმა ჩააყენა ეს ქვეყანა და იმ დამღუპველ პოლიტიკის, რომელსაც ხელმძღვანელი პარტიები თავზე ახვევენ გერმანიას.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს: გერმანია უნდა გადაიქცეს ან კლასიური კოლონიათ საფრანგეთის და ამ შემთხვევაში მონარქიული განუკითხაობის რეჟიმი შეიქმნეს ებერტის დემოკრატიის მაგიერ ან და გერმანია უნდა დარჩეს დამოუკიდებელი, თავისუფალი, მუშურ-გლეხური რესპუბლიკა და ამისათვის კუნოს ან შტრეზემანის კაბინეტის ნაცვლად კაბინეტის შედგენა „როტე ფანე“-ს რედაქციას უნდა მიენდოს.

რეალურად მხოლოდ ამ ორ პოლიტიკათა შორის შეიძლება ბრძოლა არსებობა გერმანიას შეუძლია არსებობა მხოლოდ მძლავრი სახელმწიფოსთან კავშირის დადებით. მაგრამ რაკი გამარჯვებული სახელმწიფოები ცდილობენ მხოლოდ მაზე ბატონობას და არა მასთან თანამშრომლობას, ამიტომ გერმანიის ერთად ერთი გზა, გერმანიის თავისუფლების ერთად ერთი დამცველი—საბჭოთა რუსეთია.

შტრეზემანის კაბინეტში რუდოლფ ჰილფერდინგის შეყვანა მხოლოდ სამწუხარო ეპიზოდია ამ ნიჭიერ თეორეტიკოსის ცხოვრებაში. 1918 წელში ხელოსანთა კლუბში (ბერლინში) წაკითხულ შესანიშნავ რეფერატის თეზისებიდან ჰილფერდინგმა დაჰკარგა თითქმის ყველა პუნქტები და ისევ სისტემატიურად დაეშვა შეიდემანის აზრებამდე. შტრეზემანი ფიქრობს, რომ ჰილფერდინგის ფინანსიური მანიპულიაციები გადაარჩენენ მარკის კურსს და გერმანიის მეურნეობას. შემცდარი აზრია! ჰილფერდინგის გარეგნული გამარჯვება დასაწყისია დემოკრატიულ ჯგუფების უკანასკნელ რეზერვის გაკოტრებისა, სიმბოლოა მწვავე ახალი ბრძოლებისა.

ბელგრადში მოთავსებულ სუვორინის „ნოვოე ვრემია“-ს გონია, რომ გერმანიის ამბებს კარლოს რადეკის კურსანტები იწვევენ, რომელნიც ჩინებულად ლაპარაკობენ გერმანულ ენაზე და ევლოგის სარკმელით ანათემას უძღვნის რუსის კომუნისტებს კაიზერის გერმანიის დაღუპვისათვის.

საწყალი სუვორინი და მისი გაზეთი! კურსანტების ჯგუფებით რომ ქვეყნის გადატრიალება შეიძლებოდეს სუვორინის ნაცოდვილევი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი დიდი ხანია პეტროგრადმოსკოვის ქუჩებს დაამშვენებდა, მაგრამ კონტრ-რევოლიუციონურ ევროპის მთავარი სისუსტე იმაშია, რომ გერმანიის არსებულ კონსტიტუციის დამხობას იწვევს რთული ქსელი სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობისა და საზოგადოებრივი ძალები ამ ურთიერთობის მხოლოდ უბრალო გამომხატველები არიან.

კუნოს მთავრობის დამხობით რევოლიუციამ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, რეაქციის ერთი ახალი კატეგორია გაკოტრდა. რამდენადაც მეტი ღირებულების საზოგადოებრივი კატეგორიები გაკოტრდებიან გერმანიაში, იმდენადვე გვიახლოვდება ჩვენ გერმანიის ახალი ოქტომბერი.

ჭკვიანად მოიქცა პავლე მილიუკოვი თავის გაზეთი რომ პარიზში გამოსცა. პარიზი უფრო საიმედო რეაქციის ცენტრია. ალბად ესერები, მენშევიკები და მემარცხენე კადეტებიც მალე შეუდგებიან საფრანგეთში გადაბარგებას, რომ სოციალისტურ რევოლიუციის ცეცხმა უფრო სახიფათო ადგილებში არ მოათავსოს.

## წერილ-დეპეშები

„ზაკროსტას“ ცნობები

### გერმანიის ამბები

**შტრეზემანის მთავრობა და პარტიები**

**ბერლინი.** 15 აგვისტო. შტრეზემანის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების კენჭის ყრის წინ ფრაქციების ლიდერები გამოვიდენ მოკლე განცხადებებით. გერმანიის ნაციონალისტების **სახელით**, რომელნიც ოპოზიციონურად არიან განწყობილნი მთავრობისადმი, გამოვიდა გერდტი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობის კრიზისი დაიწყო კომუნისტების ზეგავლენით და განიმეორა ნაციონალისტების მოთხოვნილება რურში წინააღმდეგობის აქტიურ ფორმების ხმარების შესახებ. გერდტმა აღნიშნა, რომ დიდი კოალიციის მთავრობის დროს გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა უარესდება.

ტევტონის სახალხო თავისუფლების პარტიის სახელით გულლემ უწოდა შტრეზემანის კაბინეტს გარდამავალი საფეხური ახალ რევოლიუციაში.

კომუნისტმა ფრელიხმა დაუპირდაპირა მთავრობის მოთხოვნილება ნდობის გამოცხადების შესახებ მის მუქარას, ყოველგვარი საშუალებანი მიმართოს მასების წინააღმდეგ, და აღნიშნა, რომ შტრეზემანი კიდევ იქნება მოწამე საყოველთაო გაფიცვის. ბრეშგეიდმა ახსნა შექმნილი კოალიციის აუცილებლობა იმით, რომ შეუძლებელია გერმანიაში ახლო მომავალში მოეწყოს მუშათა და გლეხთა მთავრობაო.

ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 240, წინააღმდეგ 76 გერმანელმა ნაციონალისტებმა და კომუნისტებმა, თავი შეიკავა ბავარიის გლეხთა კავშირის სახალხო პარტიის 25 წევრმა, 40 მემარცხენე სოციალ-დემოკრატმა დარბაზი დასტოვა; რეიხსტაგმა მიიღო მთავრობის კანონპროექტი ოქროს სესხის შესახებ, რომელზედაც ხელის მოწერა დღეს დაიწყება.

**ბერლინი.** 15 აგვისტო. 20 აგვისტოდან რკინის-გზებზე სამგზავრო ტარიფი 10 ჯერ იქნა გადიდებული, საქონლის გადაზიდვის კი 20-ჯერ.

სექტემბრიდან შემოღებული იქნება ტარიფების ინდექსი მტკიცე ვალიუტით; ამასთანავე ტვირთების გადაზიდვის კოეფიციენტად მიღებულ იქნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1,200,000, რომელიც ეთანხმება 5 მილიონი დოლარის კურსს, თუმცა დღეს დოლარი ფასობს 2,300,000. რკინის გზის ტარიფის პირველი გადიდება მოხდა 1 აგვისტოს. სექტემბრიდან ფრახტის ღირებულება ორჯერ მეტია ომამდე არსებულ ფრახტთან შედარებით, რაც ძალიან დიდ გავლენას მოახდენს საქონლის ფასებზე.

**ბერლინი.** 17 აგვისტო. ბერლინში პურის ფასი არ დაცემულა. ოფიციალური ცნობებით ცხოვრების გაძვირება ბერლინში 15 აგვისტოს 473,000-ჯერ აღემატება ომამდე არსებულ ნორმას.

**ბერლინი.** 17 აგვისტო. ახენში გამოცხადებულია საალყო წესები. საღამოს 9 საათიდან აკრძალულია ყოველგვარი მოძრაობა ქუჩაში.

**ბერლინი.** 15 აგვისტო. საქსონიის ზოგიერთ ქალაქებში მწარმოებლები მუშების ზეგავლენით დაითანხმდენ გაუთანასწორონ შრომის ხელფასი ომამდის არსებულ ხელფასს. გერმანიის ბურჟუაზიას ეშინია, რომ ეს ღონისძიება მთელს გერმანიაში არ გავრცელდეს და ამიტომ მოითხოვს საქსონიის მთავრობის ჩარევას. დღეს ბერლინში ჩამოვიდა საქსონიის ეკონომიურ კავშირების დელეგაცია; დელეგაცია მიიღო შტრეზემანმა. არსებულ ცნობების მიხედვით შტრეზემანმა მოისმინა საჩივარი და იმ წამსვე მოიწვია კაბინეტის სხდომა.

**პარიზი.** 15 აგვისტო. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთების აზრით, გერმანიაში კომუნისტური მოძრაობა დამარცხდება, რადგან მთავრობა შედგენილია სოციალ-დემოკრატებისა და ბურჟუაზიის მიერ. მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა განახლდება, თუ შტრეზემანმა ვერ შესძლო სურსათ-სანოვაგის საკითხის მოგვარება და ხელფასის დამყარება მაგარ ვალიუტაზე. ბურჟუაზიულ გაზეთებს იმედი აქვთ, რომ შტრეზემანი ინგლისის იმედზე არ დაემყარება და შეეცდება საფრანგეთთან დაახლოვებას.

„ტან“-ი საფრანგეთის მთავრობას ურჩევს მხარი დაუჭიროს სეპარატისტულ მოძრაობას პრუსიის წინააღმდეგ, ომის თავის თავიდან ასაცილებლად.

„ლ'უმანიტე“ საფრანგეთის პროლეტარიატს ავალებს პუანკარეს დამხობას, გერმანიის კომუნისტებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

**„გერმანია შევიდა სამოქალაქო ომის პერიოდში“**

მოხსენებაში გერმანიის მდგომარეობის და კომპარტიის ამოცანების შესახებ ბრანდლერმა აღნიშნა გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობის არაჩვეულებრივი სიმწვავე. „ჩვენ სამოქალაქო ომის წინაშე ვდგევართ, ჩვენ შევედით სამოქალაქო ომის პერიოდში. მომენტის მთავარი ამოცანაა პროლეტარიატის და ყველა მშრომელების ძლიერი კავშირის შექმნა.

მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგი საუკეთესო საშუალებაა ამ ამოცანის გადასჭრელად“. ბრანდლერი ეთანხმება კომინტერნის აღმასკომის დასკვნებს და ფიქრობს, რომ საქსონიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის ცდამ ძლიერ შეუწყო ხელი სოციალ-დემოკრატიის გახრწნას. დაუპირისპირა რა ცეკას თეზისები ბერლინის ორგანიზაციის თეზისებს, ბრამდლერმა გაილაშქრა იმ დებულების წინააღმდეგ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა გერმანიაში გახდა გამოუსადეგი ეტაპი და რომ პარტიის უახლოესი ხანაა პროლეტარიატის დიქტატურა. ბრანდლერის აზრით, საკითხის ასე დასმა საფრთხეს წარმოადგენს პარტიისათვის და ემუქრება მას იზოლიაციით არა პროლეტარულ მშრომელ მასებისაგან.

**ამხ. რუტა ფიშერის სიტყვა.**

გაილაშქრა რა ბრანდლერის წინააღმდეგ, რუტა ფიშერმა აღნიშნა, რომ თვით არა პროლეტარულ მასებმაც საკმაოდ დაჰკარგეს დემოკრატიის იმედი და მათშიაც არის მოთხოვნილება „ძლიერი კაცის“ დიქტატურაზე. ფიშერი ამტკიცებდა, რომ ამჟამად აშკარა ლოზუნგი დიქტატურისა უფრო გასაგებია ამ მასებისათვის, რომელთაც უნდა აუხსნათ, რომ პროლეტარიატი არის „ძლიერი კაცი“, რომელსაც შეუძლია მათი ხსნა. გააკრიტიკა რა საქსონიის პარტიის ტაქტიკა, მან განაცხადა, რომ ამ ტაქტიკამ გააძლიერა მემარცხენე სოციალ-დემოკრატია: მეღითონეთა კავშირში მომხდარმა არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ საქსონია იყო ერთად ერთი ოლქი, სადაც სოციალ-დემოკრატიამ შესძლო პოზიციის შენაურჩუნება.

**გერმანიის კომპარტიაში სრული მთლიანობაა.**

ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ კომინტერნის აღმასკომის წერილის დასკვნას ეთანხმება ორივე მხარე. საბოლოო სიტყვაში ბრანდლერმა აღნიშნა, რომ უმრავლესობის და აგრეთვე ოპოზიციის შეხედულებები ერთი მეორეს დაუახლოვდენ ისე, როგორც არც ერთ პარტიულ საბჭოს სხდომაზე, დაწყებული ლეიპციგის ყრილობიდან.

ცეკას თეზისები მიღებულია 45 ხმით, თავი შეიკავა 9 კაცმა.

**ახლო აღმოსავლეთში**

**სპარსეთი**

**თეირანი.** 10 აგვისტო. აგვისტოს 10-ს თეირანსა და მის გარეუბნებში გრანდიოზული დემონსტრაციები გაიმართა ინგლისის წინააღმდეგ, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 20,000 კაცი დროშებით.

**ოსმალეთი**

**ანგორა.** 13 აგვისტო. 11 აგვისტოს მოხდა ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების საზეიმო გახსნა. დეპუტატებმა ერთგულების ფიცი დასდეს ხალხის წინაშე. დეპუტატების დიდ უმეტესობას შეადგენენ სახალხო პარტიის წევრები.

**ანგორა.** 13 აგვისტო. დღეს ანგორაში ჩამოვიდნენ ისმეტ-ფაშა და რიზა ცური ბეი, რომელთაც სადგურზე მიეგებენ: ქემალი, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ჯარები და მრავალრიცხოვანი ხალხი.

**ბერლინი** 15 აგვისტო. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია მუსტაფა ქემალი, ვიცე-თავმჯდომარედ არჩეული არიან ისმეტ ფაშა და სობრი ბეი.

**ანგორა.** 13 აგვისტო. 12 აგვისტოს ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა ყველა დეპუტატების არჩევის ოქმები.

**ანგორა.** 11 აგვისტო. გაზ. „ხაკიმიეთ მილლიე“-ს ცნობით ამ მოკლე ხანში ანგორას ესტუმრება ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი მაკდონალდი.

**ანგორა.** 11 აგვისტო. „ვაკიტ“-ის გადმოცემით, სტამბოლში ქალთა მოძრაობა თანდათან ფართოვდება. ჩამოყალიბდა ორგანიზაცია სახელწოდებით „ქალთა სახალხო პარტია“, რომლის პროგრამა მოითხოვს ოსმალო ქალების მონაწილეობას საზოგადო ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტაში, დანარჩენ მუხლებში კი „სახალხო პარტიის“ პროგრამის მსგავსია.

# ახალი ამბები

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა „უნივერსიტეტის მოამბე“ № 2. იყიდება უნივერსიტეტის წიგნთ-საცავში, სახ. გან. კომისარიატში (ვუკოლ ბერიძესთან) და წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის საწყობში.

— **ერევნიდან** იტყობინებიან, რომ 17 აგვისტოს მოვიდა თოვლი, ნათესი მთებზე მოექცა თოვლის ქვეშ.

— **წითელი დროშის ორდენი.** საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა წითელი დროშის ორდენი წარმოდგენილი მხატვარი შარლემანის მიერ.

— **ჯორჯიაშვილის ძეგლის დადგმა.** საქ. ცაკის მიერ არჩეულია კომისია, რომელსაც ევალება არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლის დადგმა. კომისიაში შედიან ამხ. ტ. საბაშვილი, რუხაძე, ვაშაკიძე, მიქაძე და ვაინერი.

— **სასამართლოს მოწყობა.** საქ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია დადგენილება, რათა იქმნეს გატარებული მოქმედებაში სამოქალაქო და სისხლის-სამართლის კოდექსები.

— **მუშაობა მორწყვისათვის საქართველოში.** ამ. კ. წყლის მეურნეობის მიერ გაგზავნილია ცხინვალში მშენებელთა პარტია, რომელმაც უნდა აწარმოოს მუშაობა ტირიფონის ველის მორწყვისათვის.

— **რუსეთის ჯანმრთელობის** სახ.-კომისრის სემაშკოს ტფილისში ჩამოსვლის აღსანიშნავათ, განზრახულია სანიტარული სახლის საზეიმო გახსნა.

— **დახმარება თემებს.** ბათომის რკინის-გზის საქონლის სადგურის მტვირთველმა მუშებმა, ბუკის ციხის, ქვემო და ზემო ერკეთის და აგრეთვე ხევის თემის (გურია) კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად შესწირეს 107 მილ. მანეთი.

— **სანკურნალო მუშებისათვის.** მუშათა შორის ფილტვების ავადმყოფობის გავრცელების გამო, განზრახულია მოკლე ხანში ტფილისში გაიხსნას ახალი სამკურნალო.

— **სამკითხველო მუშებისათვის.** ევანგულოვის ქუჩაზე № 12-ში გაიხსნა ახალი უფასო სამკითხველო მუშებისათვის.

— **სიცილის საღამო.** დღეს, მიხ. ჩოდრიშვილის და ალ. კეცხოველის სახელობის [illegible] ფილი ტივოლი). გაიმართება გრანდიოზული საღამო საქველმოქმედო მიზნით.

— **ქართული ენის შესასწავლათ.** ამ დღეებ- ში რკინის გზის რაიონში გაიხსნება ქართული ენის კურსები ქართულის არა-მცოდნე რკინისგზელებისათვის. მსურველები ამ თავითვე უნდა ჩაეწერონ რკინისგზის ადგილკომში კურსებზე ჩასარიცხათ.

— **ბატარეების შეჯიბრება.** კავკასიის ცალკე არმიამ თავის დღესასწაულის დღეს მოაწყო ბატარეების შეჯიბრება სხვადასხვა საარტილერიო საქმეში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე ქართული ჯარის ნაწილები. ქართულმა საარტილერიო დივიზიონმა 15 საერთო პრიზიდან [illegible] ლო შვიდი პირველი პრიზი.

— **თოვლი ბაკურიანში.** როგორც აგა[illegible] ბაკურიანიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ იქ [illegible] მოსულა თოვლი. დანარჩენ აგარაკებზედაც ც[illegible] ამინდებია, რის გამო განზრახულია საგარაკო სე[illegible] ზონის ადრე შეწყვეტა.

— **ოზურგეთ-ნატანების რკ. გზა.** ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის გაყვანა თითქმის სრულებით დამთავრდა. მცხოვრებლები მოუთმენლად ელიან მატარებლის პირველ სანიმუშო მიმოსვლას.

— **მბეჭდავთა კლუბში.** კვირას, 19 აგვისტოს მბეჭდავთა კლუბში წარმოდგენილი იქნება მბეჭდავთა კავშირთან არსებული დრამატიული წრის მიერ „ორი დარაჯი“.

— **ბინის დარჩენილ ქირების გადახდა.** მ[illegible] რე პრეზიდიუმის დადგენილებით; დარჩენილი [illegible] ნის ქირა, გადახდილ უნდა იქნეს დღის კურსის მიხედვით. დადგენილება ვრცელდება საბჭოთა [illegible] სამსახურებზედაც.

# პარტიაში

ტფილისის კომიტეტი იწვევს ამხ. ავთანდილ ჩილიკაძეს გამოცხადდეს 20 აგვისტოს საღამოს [illegible] საათზე პარტიულ ბიუროში.

ტ. კომ. მდივანი **სეფერთელაძე**

# ორი კომპოზიტორი.

ქართული ოპერა, როგორც ნახელოვნები ქმნილება პირველი რევოლიუციის ქარტეხილში იშვა. მისი დაბადება, თარგმნილადაც კი, ერთგვარი რევოლიუცია იყო ქართველი ხალხის ფსიხიკისთვის, რომელსაც არა თუ არ მოესმინა, არც კი სჯეროდა, თუ ევროპული ოპერა ქართულადაც შეიძლებოდა დადგმულიყო, ევროპულ მუსიკას ქართული სიტყვები ჰქონიყო შეწყობილი. როცა დედა ქალაქში ძველი რეჟიმის დროს პირველად ოპერა **ფაუსტი** დაიდგა ქართულად, გადაგვარებული ფეოდალები და ბიუროკრატები, რომელნიც უფრო კურიოზობით მოსულიყვნენ ოპერაზე, გაკვირვებით ამბობდნენ, ქართულადაც თურმე შესაძლებელი ყოფილა ოპერის სიმღერაო. იმ ბატიტვინებს ეგონათ, რომ ოპერის სიმღერა მხოლოდ რუსული ენის პრივილეგია იყო. უეჭველია ასეთი ამბავი მოხდებოდა პეტერბურგშიაც, სადაც ცოტა უფრო ადრე დაიდგა ქართულად ოპერა **დემონი.** მაგრამ ქართველ[illegible] რენეგატების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონ[illegible] როცა იხილეს სახელმწიფო თეატრის სცენაზე პი[illegible] ველი ქართული ოპერა **აბესალომ და ეთერი** ზა[illegible] რია ფალიაშვილის, ხოლო სულ მოკლე ხნის შ[illegible] დეგ მეორე ქართული ოპერა **შოთა რუსთაველ[illegible]** **ამბავი** დიმიტრი არაყიშვილის ნამუსიკევი, ორი[illegible] ეროვნული ოპერა, ორივე ოსტატურად ხმა საკ[illegible] შეწყობილი

როგორც ზაქარია ფალიაშვილი, ისევე დი[illegible] არაყიშვილი ნასწავლია მოსკოვის კონსერვატორი[illegible] აში, რომელიც ამიერიდან საქართველოსთვის [illegible] ტორიული გამხდარა, როგორც აღმზრდელი და გ[illegible] მომშვებ-დამლოცველი პირველი ქართველი კომპ[illegible] ზიტორებისა. არც ერთ საკულტურო ფაქტო[illegible] ქართველი ხალხის სულიერ განვითარებაზე ისე[illegible] სწრაფი და ნაყოფიერი გავლენა არ მოუხდენ[illegible]

# ივ. ჯავახიშვილის ახალი შრომა

**(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა)**

(დასასრული).

ამ ხელთნაწერთა აღმოჩენა ბ-ნ ჯავახიშვილის მეთოდიური კვლევა-ძიების შედეგი იყო. რომ მისი ახლად გამორკვეული პალეოგრაფიული დაკვირვება უცილობელ დებულებად შექმნილიყო, იგი შეუდგა მე-X-ე საუკუნეზე ადრინდელ ძეგლების შინჯვას. თავდაპირველად მას მოაგონდა სტუდენტობის დროს ნანახი ოქსფორდის ბიბლიოთეკიდან აკად. ნ. მართან გამოგზავნილი ფოტოგრაფია ქართულ-ებრაულ პალიმფსესტისა, რომელსაც მაშინ (1897 წ.) ნ. მარრმა ყურადღება არ მიაქცია. ეხლა მისი გაშინჯვის დროს ბ-ნმა ჯავახიშვილმა ცხადჰყო, რომ ასოები „ყ—არი“ და „ვ—იე“ ყველგან თავშეკრული იყო და მაშასადამე, თითონ ძეგლი VII—VIII საუკ. მაინც უნდა ყოფილიყო. ამის შემდგომო, ამბობს მეცნიერი: „ძვირფას პალიფსესტს კითხვას გულდასმით შევუდეგი და ეხლა უკვე განსაკუთრებით ბ-ანს ვეძებდით. პირველსავე ფურცელზე— განაგრძობს ის—ორჯერვე „ბ“ სრულებით გარკვევით თავშეკრული იყო, ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა. ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო, მერე დასძენს: „ცხადი გახდა, რომ თვალწინ ქართულ დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედვა. **აქამომდე მე-IX საუკ. უწინარესი არც ერთი ქართული ხელთნაწერი არ იყო ცნობილი და ეხლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები გამოჩნდაო**“.

ამის შემდეგ პატივცემული პროფესორი შეუდგა ჩვენში დაცულ პალიმფსესტების გადაშინჯვას და მოკლე ხანში ოთხი ძველი პალიმფსესტი აღმოაჩინა, რომელთა დაწვრილებით აღწერას ვპოვებთ მისი შრომის 336—342 გვ. როცა ეს შრომა უკვე იბეჭდებოდა, ბ-ნმა ს. გორგაძემ აღმოაჩინა მეექვსე პალიმფსესტი ხანმეტი ნაწერი 40 გვერდამდე (იხ. **სხოლიო 344 გვ.**)

ამრიგად ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენ ოქსფორდზე გაცილებით უფრო მდიდარნი ვართ და 2000 გვერდამდე უძველესი ქართული პალიმფსესტები გვაქვს.

საიდან ჩანს მათი სიძველე? პირველყოვლისა **პალეოგრაფიულ ნიშნებით**, სახელდობრ, ვიესა და ყარს თავშეკრული მოხაზულობა აქვთ, ასო ბანიც ყველგან თავშეკრულია. ეს კი იმას გვიჩვენებს, რომ რაკი ბანი მე-VII საუკ. დასაწყისში უკვე ოდნავ თავგახსნილი იწერებოდა თავშეკრული მოხაზულობა კი მას ჰქონდა ამაზე უწინ, ეს ძეგლებიც მე-VII საუკ. დამდეგზე უგვიანესი არ უნდა იყონ და მე-VI ს. უნდა მიეკუთვნონ. გარდა ამისა **ენის თვისებაც** ამტკიცებს პალიმფსესტების სიძველეს. მესამე პირის ობიექტიურ თავსართად ჰაეს მაგიერ, აგრეთვე მეორე პირის სუბიექტიურ თავსართად, შედარებითსა და უარყოფით ნაწილაკებში ყველგან ხანია გაბატონებული. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ბანის თავშეკრულობის გარდა ბოლნისის სიონისა და მცხეთის ჯვარის წარწერათა დათარიღების დროს ბ-ნი ჯავახიშვილი სარგებლობდა ამ ფონეტიკური ნიშნითაც. მაგალითად, ბოლნისის სიონის წარწერაში ამოკვეთილია სიტყვა: „შეხეწიე“-ო და არა „შეეწიე“. აგრეთვე მცხეთის ჯვარზე დემეტრეს წარწერაში ვკითხულობთ: „მეოხ ხეყავ“, ხოლო ადრნერსეს წარწერაში უკვე „მეოხ ეყავ“ სწერია, ე. ი. მესამე პირის ობიექტური თავსართი **ხანი** აღარ არის. ახლა გავიხსენოთ ამ წარწერათა თარიღები: ბოლნისის სიონისა ეკუთვნის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-V ს. დამლევს ან მე VI ს. დამდეგს, დემეტრესი 591—600 წლებს, ე. ი. მე-VI საუკ. ბოლოს, ხოლო ადრნერსესი 626—634 წლებს. აქედან ცხადია: მე-V—VI საუკ. თავსართი **ხანი** იყო გამეფებული, ხოლო მე-VII საუკ. აღარ არის. ამ ფონეტიკური ნიშნისა და აგრეთვე სხვა ზემოდ აღნიშნულ პალეოგრაფიულ ნიშნების მიხედვით პროფ. ჯავახიშვილმა ახლად აღმოჩენილი ხელთნაწერები დაათარიღა მეექვსე საუკუნისად მაინც, თუმცა ზოგიერთი მათგანი შემდეგ, როცა ყოველმხრივად წაიკითხება და შეისწავლება, შეიძლება **უფრო ძველად აღმოჩნდეს, მით უფრო, რომ ზო**გიერთი ასოთა მოხაზულობით უფრო ძველი ჩანს, ზოგი კი მერმინდელი.

ასეთია ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის—მიერ ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები.

ეხლა ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა აქვთ მათ საერთოდ მეცნიერებისა, კერძოდ კი ჩვენთვის, ქართველობისათვის? ამ კითხვას ბ-ნი ჯავახიშვილი არკვევს თავის შრომის მეორე ნახევარში.

რა თქმა უნდა, სრული მნიშვნელობის წარმოდგენა ეხლავე, როცა ხელთნაწერები ჯერ კიდევ მთლად არ არის წაკითხული, შეუძლებელია, მაგრამ იმის მიხედვითაც, რაც უკვე გარკვეულია, შეიძლება მისი დაახლოვებითი გათვალისწინება.

პირველ ყოვლისა, მათი აღმოჩენით საერთოდ მეცნიერება გამდიდრდა საქრისტიანო მწერლობის უძველესი ძეგლებით: იმათთვის, ვინც ირკვევს სახარებისა, დაბადების და აპოკრიფების ტექსტებს, სწავლობს მათ ისტორიას და კრიტიკის დარჯაკში ატარებს, მათ უაღრესი მნიშვნელობა აქვს. სხვას რომ თავი ვანებოთ და მარტო აპოკრიფებით დავკმაყოფილდეთ, დავინახავთ, რომ პავლე მოციქულის მოღვაწეობაზე საერთოდ მწერლობაში მხოლოდ პატარა ნაწყვეტებია შერჩენილი, ისიც შემდგომი დროისა. აქ კი იგი უძველეს ხელთნაწერშია შენახული.

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მათ ჩვენთვისა აქვთ. თავდაპირველად ჩვეულებრივ მიღებული იყო, რომ საღმრთო წერილი ქართულად მეხუთე საუკუნეში ითარგმნა. აკად. ნ. მარრი კი ფიქრობს, რომ თუ მთლად საღმრთო წერილი არა, დაბადება მაინც ქართულად სომხურითგან უნდა იყოს ნათარგმნი მე-VII—VIII საუკუნეებშიო. ახლად აღმოჩენილი ხელთნაწერები თავის არსებობით კი იმას ამტკიცებენ, რომ ჩვენ მეექვსე საუკუნეშივე გვქონია დაბადების შემადგენელი წიგნები: მოსეს პირველი წიგნი, იგავნი სოლომონისანი და იერემია წინასწარმეტყველისა. ჩანს მთელი დაბადებაც გვექნებოდა თუ მეხუთეში არა, მეექვსე საუკუნეში მაინც.

აღმოჩენილ ხელთნაწერთა მიხედვით ჩვენ საშუალება გვეძლევა შევისწავლოთ ქართული სამწერლობო ენა და აგრეთვე საღმრთო წერილის ქართული თარგმანის რედაქციები. ამასთან დაკავშირებით პროფ. აკ. შანიძემ ა. წ. 1 აპრილს მშვენიერად განმარტა გიორგი მთაწმინდელის (XI საუკ.) ანდერძში მოხსენებული ტერმინი, რომლის გარშემო არა ერთი თეორია იყო შეთხზული. იქ ასე სწერია: „ჩვენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არის და კეთილად, ხანმეტნი და საბაწმინდურნიცა“-ო. აი იმ კითხვას—თუ რას ნიშნავს სიტყვა—**ხანმეტნი**—არა ერთი ჩვენი მკვლევარი უტრიალებდა თავს და ნაირ ნაირი ჰიპოთეზი შექმნა. ეხლა, ამ ხელთნაწერთა აღმოჩენის შემდეგ, სადაც პრეფიქსებათ ანუ თავსართებად ხანი იხმარება (მაგ., ხესავთ, შეხერაცხოს, ხუმჯობეს ხუფროს, ხურჯულოი და სხ.), სრულიად ქეშმარიტი, ბუნებრივი და მშვენიერი განმარტებაა ასეთ ხელთნაწერებს, ასო ხანით ზედმეტად რომ არიან სხვა რედაქციებიდან განსხვავებულნი, რქმეოდა ხანმეტი ხელთნაწერი ანუ მოკლედ ხანმეტი.

ცხადია, ამ ხანმეტ ხელთნაწერებში უხვი მასალაა ქართულ სამწერლობო ენის შესასწავლად (სხვა რომ არა იყოს რა ხანმეტობაც მეტად საგულისხმიერო მოვლენაა ჩვენს ენაში).

მაგრამ მათი მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება. დღემდე უძველესი სახარება იყო ადიშის ანუ შატბერდისა, რომელსაც ორი თარიღი აქვს და: ქართული და ქრისტიანული. პირველი თარიღით ეს სახარება 897 წ. ეკუთვნოდა ანუ IX საუკ., მეორე თარიღით კი 1001 წელს ანუ XI საუკ. აკად. ნ. მარრი მეორე თარიღს ემხრობოდა და ამას იმით ასაბუთებდა, რომ შიგ ახალ ქართულის შესაფერი ფორმები და სიტყვებია ნახმარიო, მაგ. სიტყვა „მსგავსად“-ო. ეხლა მტკიცდება, რომ სახარება მეექვსე საუკუხეში გვქონია, რომ იქაც გვხვდება სიტყვა „მსგავსად“ და, რაც თავი და თავია, ადიშ-შატბერდის სახარების დათარიღების საკითხიც ექვ. თაყაიშვილის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და საბოლოოდ მე IX საუკ. სახარებად იქმნეს მიჩნეული.

ხანმეტი ხელთნაწერები გვაძლევენ აგრეთვე საშუალებას გამოვარკვიოთ ჩვენი კულტურისა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ქართული ეროვნული მუსიკის ცხად ყოფას უმაღლეს სამუსიკო ფორმად, ანუ ოპერად, მაგრამ გავლენა იგი გააძლიერა უტყუარმა ნიჭმა, რომლითაც აღბეჭდილია ორივე პირველი ქართული ოპერა. ზაქ. ფალიაშვილის და დიმ. არაყიშვილის სამუსიკო შემოქმედებას თუ სრულიად არ აბრკოლებს, ძალზე მაინც ადუნებს ლუკმა პურისთვის ზრუნვა, ის გარემოება, რომ ორივე კომპოზიტორი სამუსიკო პედაგოგის, სამუსიკო საქმის ადმინისტრაციის გადაჰყოლია. პირველი ჩაუდგა სათავეში მოსკოვის სამუსიკო საზოგადოების ტფ. სამუსიკო სკოლას, რომელიც პირველ კონსერვატორიად, ხოლო მეორე ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლას, რომელიც მეორე კონსერვატორიად გადაკეთდა. კონსერვატორიების მართვის დროს მოცალეობა ქართული სამუსიკო შემოქმედებისთვის, რა საკვირველია, არ ჰქონია არც ერთ კომპოზიტორს და ასეთ გარემოებაში დალიეს მგონი ორი სასწავლო წელი, სანამ ორივე კონსერვატორია არ გადაკეთდა ეხლა ერთ კონსერვატორიად.

დირექტორი, თუ რექტორი მომავალი სახელმწიფო კონსერვატორიისა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყვეს სამუსიკო საქმეში ჩახედული, განათლებული პიროვნება, რომელმაც უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა არა საყველ-პუროდ, არამედ კარგად, საქმიანად, გული უნდა შესტკიოდეს ქართული მუსიკისთვის, რომელიც აქამდე უპატრონოდ იყო, როგორც სახელმწიფო ოპერის დირექციაში, ისევე კონსერვატორიებში, შესძლოს კონსერვატორიის გაეროვნულება და საერთო ევროპული მუსიკის კურსთან ერთად აზიური მუსიკის კურსიც შემოიღოს. ქართული მუსიკა არ შევიტანე აზიური მუსიკის დარგში, რადგანაც ქართული მუსიკა პოლიფონიურია, ფოლიფონია კი არ მოეპოვებათ არც თათრებს, არც სომხებს, არც სპარსელებსა. კონსერვატორიის სამუსიკო ნაწილის გამგე უნდა იყვეს სახელოვნო საბჭო, რომლის წევრადაც იქმნებიან გამოცდილი მუსიკის მასწავლებელნი, აგრეთვე მცოდნე პირნიც, როცა მათ მოწვევას საჭიროდ დაინახავს სახელოვნო საბჭო.

თუ საჭიროა კონსერვატორიის სამუსიკო საქმის გასაძღოლად კარგი ადმინისტრატორი, კიდევ უფრო მეტად საჭიროა ქართული სამუსიკო ხელოვნების განსავითარებლად ნიჭიერი სამუსიკო შემოქმედი. ისეთ დროს ვცხოვრობთ, რომ ნიჭიერი ქართული სამუსიკო შემოქმედი უნდა აღვზარდოთ, როცა არა გვყავს, და მიუჩინოთ მუშაობა სამუსიკო კომპოზიციის დარგში. დღეს კი განგებას ჩვენთვის მოუვლენია არა ერთი, არამედ ორი ნიჭიერი უკვე დახელოვნებული, სახელგანთქმული კომპოზიტორი და მის მაგიერ რომ ქართული ოპერები ვაწერინოთ, ისეთ გარემოებაში ჩაგვიყენებია, რომ ძვირფასი დრო, რომელიც ქართული სამუსიკო შემოქმედებისთვის უფრო საჭირო არის, შეულევიათ სამუსიკო სკოლების მართვა გამგეობისთვის და ამას რომ არ ვკმარობთ, მოგვიწადინებია, როგორც ზაქ. ფალიაშვილი, ისევე დიმ. არაყიშვილი მოვათავსოთ ორივე მომავალ კონსერვატორიაში, ან ერთი მეორის, ან ორივ სხვის ხელ ქვეით, რაც ფრიად მავნებელი იქმნება ორთავ საქმისთვის, რომელიც გავარჩიე, ე. ი. იზარალებს, როგორც სამუსიკო კონსერვატორიის ადმინისტრაცია, ისევე ქართული სამუსიკო შემოქმედება, რომლისაც ინტერესი მოითხოვს, ორივე კომპოზიტორი მთავრობამ კონსერვატორიის გარეშე დასტოვოს, მაგრამ ორთავ გაუჩინოს სახელმწიფო ულუფა, რომ გულარხეინად, ლუკმა პურისთვის უზრუნველად იმუშაონ ქართული სამუსიკო კომპოზიციების, ოპერების საწერად, რისი ნიჭიც განგებას ისე უხვად უწყალობებია მათთვის. სახელმწიფო კმაყოფილი დარჩება, რომ მისი ამაგით დიდი ეროვნული ხელოვნების საქმე კეთდება, რაც ისე საჭიროა მშრომელი მასების სულიერი განვითარებისთვის, ხოლო ჩვენი ხალხი კულტუროსან ხალხთა ოჯახში საპატიო ადგილს დაიჭერს, როგორც მქონებელი უმდიდრესი საუნჯისა, რასაც ეწოდება ხმათა წყობის ენა, ანუ მუსიკა.

ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორები ზაქ. ფალიაშვილი და დიმ. არაყიშვილი სახელმწიფო ულუფაზე გადაყვანილ უნდა იქმნენ.

პეტრე მირიანიშვილი.

## ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების დაარსების გამო.

ყოველი ახალი საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და ამ საზოგადოებამაც უნდა გაამართლოს ხალხის მოლოდინი.

ახალი საზოგადოება ფერხულია წალმა მავალი ამ ფერხულში ჩაებმიან მხოლოდ გაწაფული მოცეკვავე—მომღერალნი, დახელოვნებულნი ამ საცეკვაოში.

ამ ფერხულში 2 სხვა და სხვა აზროვნება ვერ მოთავსდება ისე, როგორც ქარხნის მუშა და სოფლის გლეხი ერთნაირად ვერ მომკიან.

მისი ჰანგი ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. მის სიმშვენიერით თუ გამსჭვალული არა ხარ, თუ ვერა გრძნობ მის ძლიერების ოშხივარს, თუ მისი ხმების გადახლართვა არ გიღიტინებს გულს, ვერ ჩაებმევი ამ ფერხულში და ძალაუნებურად განზე გამოხვალ გარიყულივით.

ფერხულში მონაწილენი გრძნობენ ერთსულოვნებას, როგორც ხელებით, ისე გულით შეკავშირებული-შეწებებულნი არიან. მათში ორჭოფობა, შენ-ჩემობა, არ არის.

ახალგაზრდა მუსიკოსთა მიერ დაარსებული საზოგადოება წააგავს ზემოთ მოყვანილ ფერხულს. აქაც ისეთი ერთსულოვნება და სოლიდარობაა საჭირო, როგორც ფერხულში.

შეიძლება ბევრმა იკითხოს—რა საჭირო იყო ახალგაზრდა მუსიკოსთა მიერ საზოგადოების დაარსება იქ, სადაც კონსერვატორიებია, და სხ.?

არც ერთი საზოგადოება არ დაარსებულა უმიზეზოდ, ზერელად.

ამ საზოგადოებაში შედიან მოწაფენი კონსერვატორიებისა (თუ ყველა არა, უმრავლესობა მაინც). მათ გასაქანი არა ჰქონდათ. ქართული მუსიკა, რომელზედაც არ ზრუნავდნენ, გაბატონებულთა წრეს გამოეყო მუდამ წინ სვლის მიზნით გატაცებული ახალგაზრდობის წრე და ცალკე საზოგადოება დაარსა. ეს საზოგადოება მუსიკის ჭეშმარიტ ჭირისუფალთა დახმარებით გააუმჯობესებს შელახულს დაქვეითებულს ქართულ მუსიკას, რომელიც ქართული მუსიკის დღევანდელ დედინაცვალმამინაცვლების ხელში გერად არის გადაქცეული.

დღეს ხელოვნების ასპარეზზე ისე რიგდება თანამდებობა, როგორც ქლიავი.

მუსიკის დარგში არიან ისეთი მომუშავენი, რომ ყველა თანამდებობას ხელს გაუბოტებს გაუწითლებლივ,—იმას ანგარიშს არ უწევს ღირსია თუ არა ნაბოძებ თანამდებობისა, სინიდისს არ ეკითხება.

ჩინოვნიკობა, პორთფელის ძიება, დირექტორის და „ზავმუზის“ თანამდებობის ხელში ჩაგდება, აი ამ მამინაცვალ-დედინაცვლების ყოველდღიური „მენიუ“. აი მიზანი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესობისა.

ასეთმა უსწორ-მასწორობა—უსამართლობამ ქართული მუსიკის ბედი უფსკრულამდის მიიყვანა, ახალგაზრდა კომპოზიტორებს გადაელობა და სხვა.

ბევრი მუშაკთაგანი ინტრიგა—უსამართლობას გამოეყო და ცალკე თავისთვის მყუდროდ მუშაობს.

ასეთ მუშაკს „რეკლამისტობა“ არ სჭირია, ის ელის იმ დროს, როდესაც ქართველი საზოგადოება მუსიკალურად განვითარდება, როცა მუსიკა-გალობა ფაქტიურად დაიჭერს საპატიო ადგილებს სკოლებში სადაც მომავალი თაობა შეუერთდება მსაჯულთა რიცხვს, ასწონ-დასწონავს ამა თუ იმ კომპოზიტორის ნაწარმოებს და შესაფერ მსჯავრს დასდებს მაშინ, როდესაც დრო დადგება ანგარიშის ჩაბარებისა და როცა გაიცხრილება მუსიკოსთა ნაწარმოებნი, აი სწორედ მაშინ გაირჩევა ავი კარგისაგან ისე, როგორც თხა ცხვრისაგან.

დღეს მუსიკალურ ნაწარმოების გადაღება—მითვისება, მოპარვა და თავის სახელით გამოქვეყნება ძალიან გახშირდა. აქაც აირია მონასტერი.

ვაი იმ კომპოზიტორის ბრალი, რომელიც სიცოცხლით ვერ გამოსცემს თავის შემოქმედებას და ვერ გამოაქვეყნებს. ქურდ ბაცაცები და უნიჭო, მაგრამ სხლარტი ჯიბგირები, მაშინვე, საიდანაც არ იყოს ჩაიგდებენ ხელში განსვენებულ კომპოზიტორების ნაწარმოებს და უსირცხვოდ მიითვისებენ, სჯიჯგნიან და ბოლოს, თუ საზოგადოებამ ვერ შენიშნა, ცოტა ხნის შემდეგ აქვეყნებენ თავის სახელით.

ასეთია დღეს და შემდეგშიაც არ იქნება უპატრონო ნაწარმოების ბედი ქურდ-ბაცაცების ხელში.

დროა ყველა ამას მიექცეს ყურადღება, ერთხელ და სამუდამოდ აილაგმნენ ხელოვნების „ავანტიურისტები“.

ახლად დაარსებულ საზოგადოებას დიდი გამჭრიახობა—გუშაგობა ეჭირვება, თორემ ვერა დროს ვერ გავარჩევთ ერთ კომპოზიტორის ნაწარმოებს მეორესაგან, რაც დაუჩლუნგებს საზოგადოებას შესაფერ მსჯავრის დადებას.

აუცილებლივ საჭიროა ერთი უმთავრესი რამ: ყველა სკოლაში, როგორი ტიპისაც არ უნდა იყოს სიმღერა-გალობა და მუსიკალურ საგნებს უეჭველად შესაფერი ადგილი უნდა დაეთმოს. სიმღერა-გალობა ან საგნების სწავლება სავალდებულო უნდა იყოს ყველა სკოლაში, მას არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი, ან გასართობი ხასიათი.

მეტი ყურადღების ღირსია სპეციალური ტეხნიკუმები, საიდანაც მომავალი მასწავლებლები გამოდიან. ეს ცხოვრებამ გვიკარნახა.

საბჭოთა მთავრობა როგორც დიდ ყურადღებას აქცევს მოზარდ თაობას: ბაღებში [illegible] სკოლებს—სკოლებს, სადაც აუარებელი ბავშვებია მუშებისა, სიმღერა-გალობასაც პირველი ადგილი უნდა ეჭიროს. საჭიროა ყველა სკოლასა და საბ. სახლებში გუნდის და საბავშვო სიმფონიების მოწყობა.

დღეს რატომ სდუმს საბავშო ქალაქი კოჟორი? იქ, სადაც აუარებელი ბავშებია, ნუ თუ არ უნდა მოეწყოს საბ. სამუსიკო საღამო კონცერტები? რატომ უნდა ეძებდნენ გაზეთებით საბ. სახლები სიმღერის მასწავლებელს? რაშია საქმე? ნუ თუ სასიამოვნო არ იქნებოდა იმ მშვენიერს მაღლობზე, სადაც ზღაპრული საღამოებია, მოეწყოს ბავშთათვის სერიოზული შესაფერი კონცერტები? თუ ბავშვებს არ შევასწავლეთ ეხლავე სამშობლო ერის სიმღერები, და არ აუხსენით მისი მნიშვნელობა ხომ სამუდამოთ დავაყრუეთ.

ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ, და თუ იგი გვერდს აუხვევს, მაშინ ახ. მუსიკოსთა საზოგადოება, თავის დროზე როდესაც მუხლს მოიმაგრებს, ეცდება მოაგვაროს ის საქმე ლოტბარებს მომზადებით და სხვა სახით.

ნახევარ თვის შემდეგ სწავლაც დაიწყება, ყველა თავის დონეზე იქნება, გარდა სიმღერა-გალობის გაკვეთილებისა.

რათა და რისთვის?

როდემდის უნდა იყოს მაჩანჩალად სიმღერა სკოლებში?

როდესაც გავიგე ახ. მუსიკოსთა მიერ საზოგადოების დაარსება, ორმა განცდამ მომიცვა, მესიამოვნა ასეთი საქმის მოტრფიალეთა საზოგადოების დაარსება, მხოლოდ შიშმაც ამიტანა და მომაგონა ოდესმე ყოფილი ქართული ფილარმონიული საზოგადოება, რომელმაც იმ ხნის განმავლობაში, რა ხანიც არსებობდა თითქმის ვერაფერი გააკეთა.

უნაყოფო იყო მისი არსებობა იმით, რომ თავის მიზანს აუხვია, რომელიც საჭირო იყო საზოგადოებისათვის—არც ერთი ლოტბარი-მასწავლებელი მან არ მოგვცა, რომლებიც ყოველთვის საჭიროა ჩვენთვის.

ეს მხედველობაში უნდა იქონიოს ახ. საზოგადოებამ, თავის დასახულ მიზანთან ერთად, ეცადოს მომავალში გააუმჯობესოს მუსიკის ბედი ლოტბრების მომზადებით, რითაც დიდ მამსახურს გაუწევს ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

ვუსურვოთ ახ. მუს. საზოგადოებას წინსვლა, რომ მომავალში გამოელოს მის ნამუშევარს ნაყოფი ჩვენი მშობლიურ მუსიკის ასაღორძინებლადწარსამატებლად.

გიორგი სვანიძე.

---

ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი—სადაა თარგმნილი ქართულად საღმრთო წერილი და რომელი ენიდან? ჩვეულებრივ გავრცელებული იყო აზრი, რომ იგი ბერძნულითგან არის ნათარგმნი, მაგრამ 1899 წელს ნ. მარრმა ის აზრი გამოსთქვა, თითქოს სომხურითგან იყოს თარგმნილი, ხოლო 1913 წლიდან მოკიდებული იმ თეორიას ანვითარებს, თითქოს თავდაპირველად სვანურად ანუ სომეხურად იყო თარგმნილი ანუ სვანურით გაღენთილ კილოზეო. ამის გამოისობით აკად. ნ. მარრი შემდეგ სურათს გვიხატავს: „მე V—VI საუკ. ქ. შ. სომეხიაში ჯერ კიდევ სვანები ცხოვრობდნენ. ყველა ცნობების მიხედვით, იაფეტურ ენაზე საქრისტიანო მწერლობა პირველად აქ გაჩნდა. თავიანთი ეროვნული მწერლობის პირველი ძეგლები ქართველებმა აქედან დაიმკვიდრესო etc“.

პროფ. ჯავახიშვილი სრული ობიექტივობით და საბუთიანობით არღვევს აკად. ნ. მარრის თეორიას და ამტკიცებს, რომ მისი მოსაზრებანი სინამდვილის აშკარა შეუსაბამობას წარმოადგენენ. აქ მოჰყავს ისტორიული საბუთები და ფილოლოგიური მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ხუ თავსართი (რაც ეგზომ დამახასიათებელია სვანურისთვის) ქართულ სამწერლობო ენის ბუნებრივ თვისებას წარმოადგენს და VII—VIII საუკუნეში მის-მიერ გამოვლილ ფონეტიკურ ევოლიუციის შემდგომ ეს თავსართი ჯერ ჰაედ ქცეულა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გამქრალა კიდეც.

აღმოჩენილ ხელთნაწერთა მეოხებით შესაძლებელი ხდება ქართული ენის ისტორიული განვითარების გათვალისწინებაც. წინეთ მას სამი ეტაპი ახასიათებდა: 1) ძველი კლასიკური ქართული V—XII საუკ., 2) გარდამავალი XII—XIX საუკ. და 3) ახალი ქართული XIX საუკ. ეხლა კი კლასიკური ქართულის დასაწყისი საუკუნეთა წყვდიადში იკარგება, ხოლო VII—VIII საუკ. იწყება მისი მეორე საფეხური, რომელსაც ხანის ჰაედ შეცვლა და სხვა ფონეტიკური ცვლილებანი ახასიათებენ და რომლის დასასრულის აღნიშვნა ჯერ გამოურკვეველია.

კულტურული თვალსაზრისითაც ახლად აღმოჩენილ ხელთნაწერთა მნიშვნელობა დიდია: ცხადია, რომ ამ ლამაზ და მრგვლოვანს ერთგვარს დამწერლობას უეჭველად მრავალსაუკუნოვანი მუშაობა უძღოდა წინ. აშკარაა, მსგავსად მრგვლოვანი ნუსხა ხუცურის კუთხოვან ნუსხა ხუცურიდან წარმოშობისა, ამ ხელთნაწერებში დაცული მრგვლოვანი ასომთავრული და მწერლობაც გულისხმობს თავის წინამორბედსა და წარმომშობელს — კუთხოვან ასომთავრულს დამწერლობას, რომლის დასაწყისი შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

ხელთნაწერთა გარეგანი სახე: მშვენიერი ეტრადი, დიდი ფურცლები, ფართო და გაშლილი წერა, ადგილის დაუზოგველობა, ყველაფერი ეს ცხადად გვიჩვენებს საქართველოს კულტურულს და ნივთიერ ღონეს და სიმდიდრეს.

გარდა ამისა სასვენი და განკვეთილობის ნიშნები, თუ დღემდე ეფრემ მცირეს დროისად (XI საუკ.) გვეგონა, დღეის შემდეგ მტკიცდება, რომ გვქონია V—VI საუკუნეშივე. ეს კი იმას ცხადჰყოფს, რომ მაშინ საქართველოში ყოფილა ერთგვარი გრამატიკული-სამწიგნობრო სკოლა.

ასეთია ამ ახლად აღმოჩენილ ხელთნაწერთა მნიშვნელობა. მაგრამ ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია-რა პერსპექტივებს გადაგვიშლიან თვალწინ ეს პალიმფსესტები, როცა ქიმიური ღონეობით მთლად აღადგენენ დღეს უკვე წაშლილ ტექსტს, ამოიკითხავენ მას, შეისწავლიან და დაამუშავებენ. ჩვენ მარტო ისღა დაგვრჩენია, რომ გულსავსებით ვუსურვოთ ჩვენი ნორჩი მეცნიერების ერთგულ ქურუმთ, განსაკუთრებით პატივცემულ ბ-ნ ჯავახიშვილს, გაასკეცებული ხალისით განაგრძონ თავიანთი შრომა და გაამდიდრონ ის კულტურული საგანძური, რომელსაც თავიდანვე ჩვენი პატარა ერი საოცარი შეუდრეკელობითა და ნიჭიერებით ემსახურებოდა.

საერთოდ და სავსებით ბ-ნ ივანე ჯავახიშვილის ეს წინასწარი შრომა მართლაც რომ „ძეგლი არის მეტყველი, გამომაჩინებელი დამწერელისა საუკუნოდ საქებელ-ყოფად“.

B

## წერილები პეტროგრადიდან

(საკუთარი კორესპოდენტიდან.)

დღევანდელი პეტროგრადი, მრავალგვარად და მრავალჯელ სახე ცვლილი, თუ სულ აღარ გავს რევოლიუციამდე სახის მატარებელ პეტროგრადს, აღარც იმას გავს, როგორიც იყო თებერვალ-ოქტომბრის რევოლიუციების პირველ ოთხ წელს, აღარც იმ სახის მატარებელია, როგორისაც იყო შარშან: დღითი დღე ყოფილი სატახტო ქალაქი სახეს იცვლის და თუ მის ერთ მხარეზე ბრწყინვალედ სხივოსნდება ჩაქუჩ-ნამგალი წითელ დროშაზე, მეორე მხარეს ხელს უტოპინებენ თეთრად გამოწყობილნი, და ცდილობენ შავი ლაქებით ააჭრელონ სისხლით შენაღები დროშა პროლეტარულ ქალაქისა.

პეტროგრადი, ორ სრულიად ერთი მეორიდან განსხვავებულ ცხოვრებით სცხოვრობს: ცენტრი ქალაქისა ბრწყინვალებს, მაგრამ ეს ბრწყინვალება გარეგნულია, შიგ ბრწყინვალებაში მოქცეულია ახალი ბურჟუაზია თავის მოუსვენარ და დაუცხრომელ თვისებებით მეტის შეძენის და მოგებისა.

ბრწყინავს ნევის პროსპექტი. მუდამ სავსეა სხვა და სხვა იუდას სულებით და დილიდან საღამოძდის, საღამოდან დილამდის აქ მრავალი საქმე კეთდება: ფულის მოგება, გაყვლეფა, მოტყუება, გაცვლა-გამოცვლა, სიმდიდრის შეძენა და ამავე დროს ქეიფი, უსაზღვრო გართობა, სიხარული, დაცინვითი კისკის-ხითხითი, გამაბრუებელი ვაკხანალია გათავხედებულ „ნეპმან“-ებისა.

გუშინ მიმალული, კუნჭულში მიმწყვდეული, ჩაქუჩ-ნამგალის სიმძლავრით დაბეჩავებული, წელში გაწყვეტილი და ზარდაცემული გულ-მედგრათ, თავალებით და წელში გახრილათ მიგოგავს ან ავტომობილებით მიქრის ნევის პროსპექტზე, მაღლად-მსჯელობს თავის გამოსადეგრობაზედ და უიმისოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შეუძლებლობაზე.

მზის და ელექტრონის სხივებს ეთამაშება ოქრო და ვერცხლი, ბრილიანტები და მარგალიტები, ნაკადათ იქ კევა შამპანიური და ძვირფასი ღვინოები... ხარობს, კისკისებს, ბედს არ ემდურის ნევის პროსპექტი...

მხოლოდ განთიადისას ყლაპავს ამ „ძვირფას განძეულობას“ ძვირფასად მორთული უზარმაზარი სახლები, ცარიელდებიან კაფე-შანტანები, შავ ბირჟის რესტორანები და მხოლოდ ცოტა ხნით იკუმშება ნევის პროსპექტი, ამავე დროს პეტროგრადის აცივებულ, ნოტიო განთიადს აპობს ქალაქის სხვა და სხვა უბნებიდან ქარხნების პირველი ძახილი. მაშინ როდესაც ნევის პროსპექტი ათავებს ფუსფუს და ძილს ეძლევა, აქ უბნებში იღვიძებს სული მძლავრი, შრომის გვარდია, იღვიძებს. მიხმობაზე და მიიმართება ჩაქუჩ-ნამგლის შესასწორებლათ, გასამაგრებელ-გასაძლიერებლათ.

მიილტვიან მუშები აღორძინებულ ქარხნებში. 200 ქარხანაში დღეს ჩაბმულია 100 ათასი მუშა. მძიმე და მსუბუქი ინდუსტრია არა ერთხელ ჩავარდნილია უმწეო მდგომარეობაში, არა ერთი კრიზისი გადაუტანია სამოქალაქო ომის და იმპერიალისტულ ბლოკადის დროს, მაგრამ პეტროგრადის პროლეტარიატის მედგარმა, მტკიცე ხასიათმა და ნებისყოფამ გადაარჩინა საბოლოო მოდუნებისაგან და დღეს მრეწველობა თან და თან, თუმცა ძლიერ მოგვიანებით, მიიზლაზნება აღორძინებისაკენ.

ნევის და ბალტიის ქარხნებში აღდგენილია ნავ-გემთა რემონტი, მანქანების დამმზადებელი ქარხანა შეუდგა ტურბინების გამომუშავებას, პუტილოვის და ნევის—მატარებლების დამზადებას, ობუხოვის—ტრაქტორებისას და სხვ.

სწარმოებს შეუწყვეტელი მუშაობა, მაგრამ მიუხედავათ ამისა პეტროგრადის მრეწველობა ვერ არის მიყვანილი იმ დონემდე, რომელზედაც იდგა ომამდის.

ერთის მხრივ ამის მიზეზია შეკვეთების უქონლობა: წარსულ წელში დატვირთვა ქარხნებისა უდრიდა 21-პროც.-ს ომამდი დატვირთვისას, მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში მხოლოდ 40-პროც. შესძლო აწევა და ესეც იმიტომ მოხდა, რომ მძიმე ინდუსტრიას წინ წაასწრო მსუბუქმა ინდუსტრიამ და მიაღწია 65-პროც.-მდის.

მეორე მიზეზია ბაზრის უქონლობა. ოლქის მრეწველობა მიმდინარე წლის დასასრულამდის აპირებს ბაზარზე გამოშვებას 194 მილიონ ოქროს მანეთის ღირებულობის საქონელს, ამავე დროს ოლქას შემადგენელთა მყიდველობითი შემძლებლობა არ აღემატება 39—40 მილიონ ოქროს მანეთს, ამიტომ საჭირო ხდება ოლქის გარეთ ბაზრების გამოძებნა.

ნიჟეგოროდის ბაზარზე პეტროგრადის მრეწველობამ ნათლად დაინახა, რომ ეგეთ ბაზარის მოძებნა თუ სრულიად უიმედო არა, ძლიერ სიძნელეს წარმოადგენს, დაინახა რომ მას მრავალი რაიონები დაკარგვია და სხვათა შორის აღმოსავლეთის ბაზარიც. სპარსეთის ბაზარი, სადაც პეტროგრადი ასაღებდა ქსოვილებს, საპონს, წუმწუმას, ფაიფურს მინას და სხვ., დღეს ინგლისის, იაპონიის, შვეციის და ჩეხო-სლოვაკიის მრეწველებს ჩაუგდია ხელში და

ისე მძლავრად, რომ მათი იქიდან გამოდენა ძნელ საქმეს წარმოადგენს.

პეტროგრადის ფაბრიკატების სიძვირე ამის ხელის შემშლელია. ეს სიძვირე იმდენად საგრძნობი და არა ხელსაყრელია, რომ რუსეთელი შემკვეთლები საზღვარგარედ მიილტვიან შეკვეთების გასაცემად, სადაც 2—3-ჯელ იაფად უჯდებათ ვინემ პეტროგრადის ქარხნებში.

თუ ამას დავუმატებთ სათბობ მასალის მუდამ ნაკლულებას ჩვენ წინ გადიშლება სურათი, თუ რა სასტიკ პირობებში ვითარდება აქაური მრეწველობა, თუ როგორი ენერგიაა საჭირო, რომ ნევის პროსპექტმა არ შთანთქას, შეყლაპოს გამომრთელების გზაზე დამდგარი მრეწველობა. დღეს კიდევ ახალ საშიშროების წინა სდგას პეტროგრადის ინდუსტრია: წარსულ წელში მას დასჭირდა 34 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი, წელს საჭიროა 42 მილიონი და ამ რაოდენობის შეძენა-დამზადება ერთ-ერთ უძნელეს საქმეს წარმოადგენს პეტროგრადისათვის.

მაგრამ მიუხედავად არა ხელსაყრელ პირობებისა წელში არ იხრება პეტროგრადის პროლეტარიატი, სხვა მომავალ გაუმჯობესებათა შორის, მას შუქურა ვარსკვლავივით უციმციმებს „ვოლხოვსტროიკა", რომელიც დაიხსნის არა მარტო პეტროგრადის მრეწველობას და დააყენებს მტკიცე ნიადაგზე, არამედ ააყვავებს მთელ ოლქს და თავის შუქებით გაუნათლებს გულს ყოველ მშრომელს.

„ვოლხოვსტროიკა" ეს მაგიური სიტყვაა, რომლის გაგონებაზე პეტროგრადის პროლეტარიატს შუბლი ეხსნება, გული უხალისდება და მედიდურობასა გრძნობს, ეს ის უზარმაზარი სადგურია, რომელიც 1925 წელში დამთავრებული იქნება და მისცემს როგორც პეტროგრადს ისე ჩრდილო-დასავლეთის ოლქს 150—200 მილიონ კოლოუატსაათ ელექტრო ენერგიას წლიურად, ე. ი. გაანთავისუფლებს პეტროგრადს 12 მილიონ ფუთ ინგლისიდან და „დონბასი"-დან შემოსატან ქვანახშირიდან და შეურჩენს სალაროში 4 მილიონ ოქროს მანეთს წლიურად და ამავე დროს ასწევს პეტროგრადის მრეწველობას 100 პროცენტით.

მდ. ვოლხოვზე, სადაც წინედ არც ერთი სოფელი არ მოიპოვებოდა, დღეს გაშლილია მთელი ქალაქი და შენდება ერთ-ერთი უძლიერესი ჰიდრო-ელექტრო სადგური—80.000 ცხენის ძალის. რამოდენიმე ათასი მუშა, გამოცდილ ინჟინერების ხელმძღვანელობით არის შებმული ამ დიდ საქმეს, რამოდენიმე ათასი მუშა დღე და ღამე უწყვეტლივ უმატებს ქვას-ქვაზე, რკინას-რკინაზე, რათა გამოიყენოს ვოლხოვის ენერგია თავის საჭიროებისათვის და ლახავს აუწერელ დაბრკოლებებს და პირობებს. თედო ღლონტმა, ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საქმეებისათვის პეტროგრადში ყოფნის დროს, ინახულა რა „ვოლხოვსტროიკა" და ის დაბრკოლებანი, რომელთა გადალახვა უხდებათ ამ საქმეზე მომუშავე პირებს, გამოსთქვა ის შედარებითი სიიაფე და სიადვილე ავჭალის სადგურის აგებისა, რომელსაც ხელს უწყობს ადგილობრივი მდებარეობა და აღნიშნავდა, რომ შედარებით მრავალჯელ უფრო იაფი დაუჯდება ტფილისს აღნიშნულ სადგურის აგება, ვინემ პეტროგრადს „ვოლხოვსტროიკის".

სადგურის აგება პროექტით დამთავრებული უნდა იყოს 1924 წლის დამლევს, მაგრამ როგორც ცნობებიდან სჩანს შეკვიანდება 3—4 თვით და დამთავრდება 1925 წლის გაზაფხულს. ამ სადგურისათვის პეტროგრადში კეთდება 4 უზარმაზარი გენერატორი, 8 მოტო-გენერატორი, ხოლო ნაწილი გენერატორები და ტურბინები შეკვეთილია საზღვარგარედ, სახელდობრ შვეციაში, სადაც ორნახევარჯელ უფრო იაფი ჯდება ვინემ პეტროგრადის ქარხნებში.

როგორია მუშათა მდგომარეობა პეტროგრადში?

რამდენადაც მრეწველობა ფეხს იდგამს, იმდენად მუშათა მდგომარეობა უმჯობესდება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქარხნებში დღეს მუშაობს 100 ათასი მუშა; ეს რიცხვი თან და თანობით იზრდებოდა და იზრდება მრეწველობის გაფართოების მიხედვით.

მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების დამნახველია მ. მდინარე წლის თებერვალში მოხდენილი გამოკვლევა მუშათა საზრდოობისა. როგორც ცნობილია მოზრდილ მუშას, საშუალოდ მუშაობის დროს, სჭირდება ყოველდღიურ საზრდოობისათვის—3000 კალორია. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ საშუალოდ თითოული ცოლშვილიანი მუშა იღებს 3.609 კალორიას, ხოლო უცოლშვილო—5.372.

ამნაირად პირველი წყება იღებს ნორმაზე მეტს 20 პროცენტით, ხოლო მეორე—80 პროც. 1921 წელთან შედარება გვაჩვენებს, რომ მუშათა საზრდოობა გაუმჯობესებულა—37 პროცენტით. ეს საშუალო ციფრებია. არის წყება მუშებისა, რომლებიც ნორმაზე ნაკლებს იღებენ, დაახლოვებით—2000—2 5000 კალორიას, ეს უბრალო მუშებია, არა კვალიფიკაციონური.

გაუმჯობესება ეტყობა არა მარტო საზრდოობას, არამედ მუშის ბიუდჯეტსაც. 1921 წელში ოჯახიან მუშის ძირითადი სამუშაო ხელფასი შეადგენდა 43,5 პროც. მთელ შემოსავლისას, მიმდინარე წლის თებერვალში კი 90 პროცენტს. შემოსავლის დანარჩენ წყაროდ, სხვათა შორის იყო ქონების გაყიდვა: 1921 წელში ეგეთი შემოსავალი შეადგენდა ბიუჯეტის 16,7 პროცენტს, ხოლო მ. წ. თებერვალში—2,7 პროცენტს.

მოყვანილი ციფრები მაჩვენებელია მუშათა მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებისა, თუმცა სავსებით დაკმაყოფილებამდის ჯერ კიდევ საკმაო დრო და მანძილია გასავლელი.

მდგომარეობის გაუმჯობესობა დაეტყო მუშაობის უნარის ამატებას და სამუშაო დღეთა შემატებას. 1921 წელში თითოულ მუშაზე მოდიოდა 13,8 გაცდენილი დღე, ხოლო ნამუშევარი 16,6. 1922 წელში უკანასკნელის რაოდენობამ აიწია 21-მდის, ამნაირად ყოველ მუშამ შემატა თვიურად 4,4 დღე და ეს მოხდა არა უქმე დღეების შემცირებით (უქმე დღეები ისევ იმდენივეა), არამედ უმიზეზოთ გაცდენილ დღეების მოსპობით.

დიდი მუშაობა სწარმოებს მუშათა კულტურულ აღზრდისათვის. ქარხნები, გარდა ფიზიკურად სამუშევარ ადგილისა წარმოადგენენ აგრეთვე მონებრივ განვითარების ბუდეს. წარმოდგენები, ლექციები, საუბრები, ინსენიროვკები, გაზეთის კითხვა, გასამართლებანი, პოლიტიკური სჯა-ბაასი და სხვ., აი რითი უმასპინძლდება მუშებს ქარხნების კულტ-სექციები. და მართლაც ეს მუშაობა ტყუილ უბრალოთ არ იხარჯება. პეტროგრადის ქარხნის **საშუალო მუშა** დღეს პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა მრავალ საკითხებში საკმაოდ გამორკვეულ და საკუთარ გეზის მატარებელია. დღეს ის უსუსურ ბავშვს აღარ წარმოადგენს, დღეს ის ტკბილ სიტყვებით, ფართო ილიუზიებით აღარ იკვებება და არ კმაყოფილდება, დღეს ის ადვილათ ერკვევა ყოველ საკითხში, თვალ-ყურს ადევნებს დასავლეთ და აღმოსავლეთის ქვეყნების მდგომარეობას, საკუთარ რესპუბლიკის ვითარებას, თავის ქარხნის ცხოვრებას. ამით აიხსნება ყოველ ახალ მოვლენაზე პეტროგრადელ მუშის დაუყონებლივი გამოხმაურება: ინგლისის ულტიმატუმი-პეტროგრადის მუშა ქუჩაშია დროშით ხელში, მეორე ხელს კი თოფისაკენ უპოტინებს, ვოროვსკის მკვლელობა—ის ისევ ფხიზლათ გამორბის ბინიდან და მირბის ქარხანაში მდგომარეობის გამოსარკვევათ, ოქროს და პურის სესხი—ის მოვალეთ თვლის თავის თავს შეიძინოს სესხის ობლიგაციები, სკოლა და ორგანიზაციები—ის დაუყონებლივ იხდის თავის ვალს მოზარდ თაობის წინაშე და შეაქვს საერთო საქმეში თავისი წვლილი, სოფელთან დაკავშირება—ის უგზავნის სოფელს შეძლებისა დაგვარათ საჭირო ნივთებს წარმომადგენლების ხელით, უწევს მატერიალურ და კულტურულ შეფობას, თავის ქარხანაში შენიშნა უწესობა—ის დაუყონებლივ მირბის გაზეთის რედაქციაში და გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას, აღმოჩნდა ბოროტმოქმედება—დაუზოგლათ აბარებს გამომძიებელს დამნაშავე პირებს და ესწრება საქმის გარჩევას, რათა სასამართლომ არ შეუსუსტოს სასჯელი დამნაშავეთ გაუგებრობისა გამო. აი როგორია პეტროგრადის საშუალო მუშა ზერელე აწერით.

მთავრობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს მუშათა შორის კულტურის შესატანათ, თვითცნობიერების გასაფართოებლათ, მუშათა ინტელეგენციის შესაქმნელათ. სამოსწავლო წლის განმავლობაში, მთავრობის მიერ გახსნილ საერთო განათლების საღამოს კურსებზე სწავლას იღებდა 35000 მუშა; ეგეთი კურსები პეტროგრადში 27-ია. უმეტესი ნაწილი კურსებ დამთავრებულ მუშებისა უბრუნდება ისევე თავის ქარხანას, ხოლო მცირეოდენი ნაწილი აგრძელებს სწავლას. წელს მაგ.: უმაღლეს სასწავლებელში ადგილი დაეთმო 80 კურს დამთავრებულ მუშას; მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისში განზრახულია კიდევ 3000 მუშის მიღება; მიღების დროს დაცულია სასტიკათ კლასობრივი პრინციპი; მხოლოდ ნამდვილ მუშას ეძლევა უფლება კურსებზე შესვლის.

ამნაირად ხელი ხელ ჩაკიდებული მთავრობა და მუშები აკეთებენ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის და კულტურულად აყვავების საქმეს.

ამით არ კმაყოფილდება მთავრობა მუშათა მდგომარეობის საკითხში. ზაფხულში დასასვენებლათ მუშებისათვის გახსნილია პეტროგრადის გუბერნიაში 33 დასასვენებელი სახლი, რომელნიც იტევენ 4000 სულამდის და მთელ სეზონში შეუძლიან გაატაროს 200 ათასი მუშა. ამნაირად ყოველ მუშას შეძლება ეძლევა ორი კვირით ან ერთი თვის (მდგომარეობის მიხედვით) ისარგებლოს დასასვენებელ სახლით. ამ სახლების საარსებო წყაროებს წარმოადგენენ: სახელმწიფოდან, სოც. დაზღვევიდან და სამეურნეო ორგანოებიდან მიღებული სუბსიდიები. მშრომელს ეძლევა უფასოდ ოთახი, სასმელ-საჭმელი, ქვეშაგები, უფასოდვე იღებს წამლობას. სახლები მშვენიერად მოწყობილია: მათში მოთავსებულია ბიბლიოთეკები, ბილიარდები, ჭანდრაკები და სხვ მრავალი გასართობები, იკითხება ლექციები, იმართება კონცერტები და სხვ.

ყოველ დღიურ ულუფის კალორიული ღირებულება უდრის 5000 კალორიას. თითოულ მუშაზე გადადებულია თვიურად: 20 გირვანქა ხორცი, 22 გირვ. თეთრი და 30 გირ. შავი პური, 15 ბოთლი რძე; 4 გ. კარაქი. 9 გ. თევზი, 2 გ. შაქარი, 1 ფ. 12 გ. მწვანილი, 5 გ. მარცვლეული და სხვ.

ამნაირად მუშა დასასვენებელ სახლში არა თუ ისვენებს გონივრულად და ფიზიკურათ, არამედ მომეტებულ მასაზრდოებელ დიეტაზეა დაყენებული შესუსტებულ ორგანიზმის აღსადგენათ და გასამაგრებლათ.

მაგრამ არის უარყოფითი მხარეები მუშათა ცხოვრებაში და ამ უარყოფით ხმარეების მატარებელია უმთავრესად დაბალ საფეხურზე მდგომი მუშები (შავი-მუშები).

მეფურ მთავრობის პოლიტიკამ ძლიერ ცვლილებების მოხდენა შესძლო მუშათა შინაურ ცხოვრებაში. რუსეთში ნამყოფმა მკითხველთაგანმა ყველამ კარგად იცის ეს უარყოფითი მხარეები და აი დღესაც ვერ დაუხწევია თავი მუშის ოჯახს წლობით დანამყენ ანომალიებიდგან, რომლებიც რევოლიუციის დროს მომეტებულად გაძლიერდენ.

გინება, ცოლ-ქმრის დამოკიდებულება, შვილების აღვირწახსნილობა, ლოთობა, სახლში ხელცარიელი მოსვლა სამუშაო ხელფასის მოტანის მაგიერ-ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა, მიუხედავათ იმისა, რომ სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული ამ არანორმალურ მოვლენების წინააღმდეგ.

„სამოგონკა"-აი მაგიერი „კაზიონკის", რომელიც სწამლავს მუშის სხეულს, ამახინჯებს მას სულიერად, და ურღვევს, უხრწნის ოთახს. „სამოგონკის" ქარხნებით მოფენილია პეტროგრადი; ყოველ დღიურ მილიცია აჩენს ახალ „ქარხნებს" სხვა და სხვა პირების ბინებში, მაგრამ მიუხედავათ ამისა ეს მოვლენა არა თუ მცირდება, არამედ გაორკეცებულათ იმატებს. ამ შხამში კარგავს მუშა ზოგჯელ მთელ თავის ჯამაგირს, ამ შხამის წყალობით რყვნის ოჯახს და გზას უბნევს ბავშებს.

(დასასრული იქნება).

**ტრ. ჩუბინიძე.**

# საუბარი გლეხთან

## შინაური საქონელი და მისი გონიერი მოვლა-მოშენება

(დასასრული)

ასეთსავე დიდს მნიშვნელობას აძლევენ დედალ მამლის შერჩევასა გერმანელები. მაგალითად, აი როგორ არჩევენ საქსონიაში უკეთესის ცხვრის მოსაშენებელს დედალ-მამლებსა. იქ ამისათვის ცხვრის მდიდარს მომშენებლებსა ჰყავთ დაქირავებული კაცები, რომლების საქმე მხოლოდ ის არის, რომ შეარჩიონ უკეთესი ბატკნები. როცა ბატკნებს მოაშორებენ ძუძუსა, ეს გამოცდილი კაცები აყენებენ ყველა ბატკანს სათითაოდ მაგიდაზედა და ბეჯითად ჰშინჯავენ—წვრილ-ბეწვიანი და სრულიად ჯან მრთელნი არიან, თუ არა? უკეთესებს ამათში არჩევენ ცალკე და ყველას სათითაოთ ადებენ ნიშანსა. როცა ეს არჩეული ბატკნები შესრულდებიან წლისა, პირველი გაპარსვის დროს ეს კაცები იმათ ხელმეორეთ სინჯავენ და რომლებსაც ვერც ერთს ნაკლს ვერ უპოვნიან, მეორე ნიშანს ადებენ, ხოლო დანარჩენებს გზავნიან დასაკლავათ და გასაყიდათ.

რამდენისამე თვის შემდეგ ამ ბატკნებს მესამეთ და უკანასკნელათ სინჯავენ და რომლებსაც კი აღმოაჩნდებათ რაიმე, მცირედიც არის, ნაკლი, მაშინვე გასაყიდათ ან დასაკლავათ გზავნიან, ხოლო დანარჩენებს პირველობის და უკეთესობის ნიშანს ადებენ და ჯიშის გასამრავლებლად ინახავენ.

ამ გვარმა ბეჯითმა ცდამ ის მეტათ თვალსაჩინო ნაყოფი მოუტანა საქსონიის ცხვრის პატრონებსა, რომ ბეწვი ეხლანდელის იმათი ცხვრებისა 12-ჯერ უფრო წმინდა გახდა წინანდელ ცხვრების ბეწვზედა.

თქმა არ უნდა, რომ საქონლის ამ გვარათ მოშენება-გაუკეთესება თხოულობს დიდს დროსა, მაგრამ არის უფრო ადვილი საშუალებაცა.

ეს არის სხვა უკეთესის ჯიშის გარევა საქონელში. აი ამისი მაგალითიცა; რუსეთში, იაროსლავის გუბერნიაში, არის რომანოვის მაზრა, რომლის ცხვარი ამ ჟამად მეტის-მეტათ ნაყოფიერია. აქაური ცხვარი წელიწადში იგებს ორჯელა და ხშირად ხუთ-ხუთსა თითო მოგებაზედა. მიზეზი კი ამ ნაყოფიერის ჯიშის გაჩენისა იყო რუსეთის მეფე პეტრე დიდი († 1725 წ.), რომელმაც განგებ გამოიწერა საქსონიის წვრილ-ბეწვიანი ცხვარი და დაურიგა რომანოვის მაზრის გლეხებსა, რომლებსაც იმ დრომდე მხოლოდ უბრალო ცხვრები ჰყავდათ. აი ამ ორ-გვარი ცხვრების შერევისაგან დაიბადა ის ჯიში, რომელზედაც ვსთქვით ზემოთა, რომ წელიწადში ორჯელ იგებს ბატკნებსა და ხშირად ხუთ-ხუთსა თვითეულ მოგებაზედა. მართალია, ამ ჯიშს ისეთი წვრილი ბეწვი არა აქვს, როგორიც საქსონიისას, მაგრამ, მაინც, გაცილებით უკეთესი ბეწვი აქვს, ვიდრე გლეხების უბრალო ცხვრებსა.

კარგად შეიგნეს ეს ამბავი რუსეთის დაწინაურებულმა კაცებმა და გამართეს ყველა დიდს სოფლებში უკეთესი გომურები და საჯინიბოები უკეთესივე ბულებითა და აჯილღებითა. აქ ნება აქვს ყველას, ვისაც კი უნდა, მიიყვანოს მცირე ფასითა (სულ სამ მანეთათ) თავისი ჭაკი ცხენები და ფურები. მეტად დიდი სარგებლობა მოაქვს ამ გვარს საჯინიბოებსა და გომურებსა იქაური ხალხისათვისა, რადგან ამ სამს მანეთში ჯიში იმათის საქონლისა უკეთესდება ერთი-ორათ და სამათაც. ეს საშუალება საქონლის გაუკეთესებისა არის უიაფესი და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწდომი; საჭიროა მხოლოდ მცირე შეგნება და თავის დადება, რომ ყველა ჩვენს დიდ სოფლებშიაც დავაწესოთ ამ გვარი გომურები და საჯინიბოები.

თუ არ ვსცდებით „გაუკეთესებას", თქმა უნდა, რომ საქონელი ... უფრო ... ბა, დაწვრილმანდება, რადგან, როგორც ვსთქვით, დედ-მამისაგან გარდაეცემა შვილებს არა მხოლოდ კარგი, არამედ ცუდი თვისებებიცა. ტყუილად არა სთქვა ერთმა ნასწავლმა კაცმა: „ისე უზრუნველათ მიგვყავსო ჩვენი საქონლის საქმეო, რომ მალე ბრმა ცხენის ჯიში დაიბადება ჩვენშიო".

იყო ერთი იმისთანა შემთხვევაც, რომ შინაურს კურდღლებში ერთი ბაჭია ცალ-ყურა დაიბადა. არ გავიდა რამდენიმე თვე, რომ იმას მოჰყვა მეორე, მესამე და, ამ გვარად, იმ ერთის მახინჯი კურდღლისაგან დაიბადა მთელი გვარი ცალ-ყურა კურდღლებისა.

მაგრამ, ნუ ეგონება მკითხველსა, რომ კარგი ჯიშისაგან ისე თავის-თავად და ყოვლის უზრუნველად დადგება ისევ კარგი ჯიში. უნდა კარგად დავიხსომოთ, რომ კარგი დედალ-მამალი გადასცემს თავის შვილებსა მხოლოდ ნიჭსა გაუკეთესებისა, რომელსაც კარგი მოვლა და აღზრდა ეჭირება. წარმოვიდგინოთ, რომ კარგის ნიჭის კვიცი ჩავარდა მეტათ ღარიბის და უცოდინარის გლეხის ხელში. კვიცის კარგათ გამოზრდისათვის საჭიროა კარგი ჭამა-სმა და მოვლა. ამ გლეხს კი არაფერი აქვს, რომ კვიცს კარგად მოუაროს და, რაღა თქმა უნდა, რომ ამ მდგომარეობაში საწყალი კვიცი, რომლისგანაც უკეთესის პატრონის ხელში უკეთესი ცხენი დადგებოდა, რაც დღე გადის, უფრო და უფრო ხდება, სუსტდება, ფუჭდება. აი დადგა ზამთარიც: საწყალმა და უცოდინარმა გლეხმა შეაგდო კვიცი ცივს, მყრალს გომურში და ნუგეშობს: „აი წამომეზრდება ჩემი კვიცუნა და ათ-თუმნიანი ცხენი დამიდგებაო". ის კი არ იცის უბედურმა, რომ იმის კვიცს ციება შეეპარა და უფრო გახდა, დასუსტდა. აი შეიქნა ორის წლისა, გადადგა მესამეში და გლეხმა უნაგირიც წამოადგა ზურგზედა, იმის მაგივრად, რომ კიდევ ერთი-ორიოდე წელიწადი დაეცალებინა. ცხადია, რომ ვერ დაუდგა გლეხსა ათ-თუმნიანი ცხენი.

ნასწავლმა კაცებმა განგებ სცადეს ცუდი მოვლა საქონლისა და აი რა გამოვიდა. ჩააყენეს ერთი ხბო ცივსა და უწმინდურს გომურში, სადაც იყო ლაფი და ნეხვი მუხლებამდის; საჭმელად აძლევდნენ დამპალს ბზე-თივასა და სასმელად ცუდს წყალსა. ოთხი დღის შემდეგ საწყალი ხბო ავად გახდა და ერთის კვირის უკან მოკვდა კიდეც. ცხადია, თუ რა დიდათ საჭიროა საქონლის სიცოცხლე-ჯანმრთელობისათვის გონიერი მოვლა, სადგომი, საჭმელ-სასმელი, წმინდა ჰაერი და სხვ.

**იგ. როსტომაშვილი.**

# წერილები რედაქციის მიმართ

## პასუხად სიმონ ჩიქოვანს.

გრდემლის მე-5-თე ნომერში მოთავსებული ლექსი „დასავლეთი" ს. ჩიქოვანის მოწერით, ეკუთვნის არც სიმონ ჩიქოვანს და არც ლეონარდო ჩიქოვანს. ლექსი გარკვეულად იყო მოწერილი ლ†15-თ. შეცდომა რედაქციას მიეწერება სრულიად.

ლექსი მრავალი კორრექტურული შეცდომებით არის აწყობილი სულ.

საყვედური „გრდემლის" რედაქციას.

**ლ†15.**

---

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს: მე აქამომდე ვითვლებოდი უპარტიოთ, არ მიმუშავნია არც ერთ პარტიაში, მხოლოდ თანაუგრძნობდი, მემარცხენე ს.-ფ.-თა პარტიას. ეხლა კი, დავრწმუნდი რა მის სწორ და უტყუარ გზაში სოციალიზმისაკენ, მინდა გავხდე აქტიური წევრი მ. ს.-ფ.-თა პარტიის და მივიღო მხურვალე მონაწილეობა მის მოქმედებაში.

**მ. სარალიძე.**

---

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს წერილს: 1918 წლიდან მე ვმუშაობდი სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიაში. 1921 წლის საბჭოთა დამყარების შემდეგ არსად პარტიაში არ მიმუშავნია, ოღონდ თვალყურს ვადევნებდი თუ რომელი მხარე უფრო სწორ გზას ადგა და დავრწმუნდი რომ მემარცხენე სოციალ-ფედ. პარტია კეთილსინდისიერათ ემსახურება მშრომელ ხალხს; ამისათვის მსურს დღეიდან ვიმუშაო ამ პარტიაში და მთელი ჩემი ენერგია შევსწირო მას.

**ლევან იოსების ძე ცალქალამანიძე.**

---

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: პარტიაში მე კი არსად არ მიმუშავნია. ისე თვალყურს ვადევნებდი ყველა პარტიების მუშაობას და მოძრაობას და დავრწმუნდი, რომ მემარცხენე სოციალ.-ფედერალისტური პარტია არის მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი; მე როგორც მუშა და მუშა კაცის შვილი მსურს ჩავდგე ამ პარტიის მჭიდრო რიგებში და მით მოვალეობა მოვიხადო, როგორც პარტიის, ისე ჩემი სამშობლოს წინაშე.

**მიხეილ პლატონის ძე მიქელაიშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

9 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 553 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტერნის ქუჩ № 4.